საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 13 მარტი, 2020 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/25

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ ზაზა ხალვაშის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის შესახებ დებულების პირველი მუხლის მე-8 პუნქტის, უნივერისტეტის წესდების მე-9 მუხლისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის ... მარტის (ოქმი №) გადაწყვეტილების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი კინორეჟისორის ზაზა ხალვაშის სახელობის საფაკულტეტო 1 (ერთი) სტიპენდია.

2. სტიპენდიის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვროს 100 (ასი) ლარით.

3. სტიპენდიის დასაფინანსებელი თანხა გათვალისწინებულ იქნას უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში.

4. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**